



2023 წ.

# 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური მიმოხილვა (იანვარ-ივლისი)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: [pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge)



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, აბოისტო, 2023 წ.



## 2023 წლის იანვარ-ივლისში:


- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა **12,797.9 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 58.4%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 83.3%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ძირითადი წილი, 74.3%-ის ოდენობით, მოდის **საგადასახადო შემოსავლებზე**, რომელიც, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად შემოსულობებში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა **12,074.9 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 55.2%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 76.4%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ძირითადი წილი, 79.7%-ის ოდენობით, მოდის **ხარჯებზე**, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021 წელთან შედარებით და მცირედით შემცირებულია 2022 წელთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დაგროვებამ **723.0 მლნ ლარი** შეადგინა და 2023 წლის 1 აგვისტოსთვის - **1,970.5 მლნ ლარის** ოდენობით განისაზღვრა.

# სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 21,914.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების წლიური გეგმა - 21,880.1 მლნ ლარის ოდენობით. 2023 წლის იანვარ-ივლისში შემოსულობების შესრულება შეადგენს 12,797.9 მლნ ლარს (წლიური გეგმის 58.4%) და წინა წლის ანალოგიურ მარჯვენებელს 2,143.7 მლნ ლარით (20.1%-ით) აღემატება, ხოლო გადასახდელების შესრულება - 12,074.9 მლნ ლარს (წლიური გეგმის 55.2%) და 1,609.3 მლნ ლარით (15.4%-ით) მეტია წინა წლის იანვარ-ივლისის მარჯვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და 7 თვის შესრულების მაჩვენებლები.

2014-2023 წწ. შემოსულობებისა და გადასახდელების 7 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების 7 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2014-2023 წლებში (მლრდ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 9 თვის გეგმა განსაზღვრულია<sup>1</sup> 15,364.6 მლნ ლარით, ხოლო 7 თვის შესრულება მის 83.3%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 9 თვის გეგმის მიმართ შესრულების მაღალი მაჩვენებელი აქვს ფინანსური აქტივების კლებისა (95.3%) და ვალდებულებების ზრდის კომპონენტებს (93.1%), კარგი შესრულებით ხასიათდება შემოსავლები (81.9%), ხოლო არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტი გამოირჩევა დაბალი შესრულების დონით (58.1%).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 9 თვის გეგმა განსაზღვრულია 15,806.5 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 7 თვის შესრულება 9 თვის გეგმის 76.4%-ს შეადგენს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 9 თვის გეგმის 79.3%-ს უტოლდება. კარგი შესრულებით გამოირჩევა, ასევე, ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი - 9 თვის გეგმის 74.3%, ხოლო ვალდებულებების კლებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება (9 თვის გეგმის შესაბამისად, 68.4% და 65.5%).


<sup>1</sup> „საქართველოს 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 29 დეკემბრის №437 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 22 ივნისის №220 ბრძანება.

დასახელება	2023 წლის გეგმა	9 თვის გეგმა	7 თვის შესრულება	7 თვე/9 თვის გეგმა	დასახელება	2023 წლის გეგმა	9 თვის გეგმა	7 თვის შესრულება	7 თვე/9 თვის გეგმა
შემოსულობები	21,914.2	15,364.6	12,797.9	83.3%	გადასახდელები	21,880.1	15,806.5	12,074.9	76.4%
შემოსავლები	17,619.9	13,056.1	10,686.4	81.9%	ხარჯები	16,335.2	12,137.1	9,628.2	79.3%
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	122.0	70.8	58.1%	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,881.3	2,559.6	1,676.5	65.5%
ფინანსური აქტივების კლება	450.0	207.5	197.7	95.3%	ფინანსური აქტივების ზრდა	445.1	194.5	144.5	74.3%
ვალდებულებების ზრდა	3,644.3	1,979.0	1,842.9	93.1%	ვალდებულებების კლება	1,218.5	915.3	625.7	68.4%

ცხრილი 1: 2023 წლის 7 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ<sup>2</sup> 7 თვეში შეადგინა 1,058.3 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ<sup>3</sup> - -547.4 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 7 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

2014-2023 წლების 7 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო



დიაგრამა 2: 2014-2023 წლების 7 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაბუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.5 მლნ ლარი. იანვარ-ივლისში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 723.0 მლნ ლარი შეადგინა და 2023 წლის 1 აგვისტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 1,970.5 მლნ ლარის ოდენობით.

<sup>2</sup> საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.


<sup>3</sup> მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ივლისის თვის მაჩვენებლები

2023 წლის ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 2,082.4 მლნ ლარი, რაც 443.8 მლნ ლარით მეტია ივნისის მაჩვენებელზე, ხოლო წინა წლის ივლისის მაჩვენებელს 551.7 მლნ ლარით აღემატება. რაც შეეხება 2023 წლის ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 2,115.1 მლნ ლარს, რაც ივნისის მაჩვენებელზე 374.2 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2022 წლის ივლისის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 424.7 მლნ ლარით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით




დიაგრამა 3: სახელმწიფო ბიუჯეტო შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით:

შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლებისა (76.6%) და ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრების (22.1%) ხარჯზე. ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელმა შეადგინა 26.9 მლნ ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 0.6 ათასი ლარი.


2023 წლის ივლისში ხარჯების მაჩვენებელმა 1,779.3 მლნ ლარი შეადგინა, არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები, შესაბამისად - 210.7 მლნ ლარს და 21.1 მლნ ლარს, ხოლო ვალდებულებების კლების მაჩვენებელი 104.0 მლნ ლარს გაუტოლდა.

შემოსულობები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 4: შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)


გადასახდელები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 5: გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების** მიმოხილვა, რაზეც ივლისში მიღებული შემოსავლების 92.4%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 70.8% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 1,474.1 მლნ ლარი,


გადასახადები სახეების მიხედვით



დიაგრამა 6: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

ივნისის მაჩვენებელზე (1,080.6 მლნ ლარი) 393.4 მლნ ლარით მეტი, რაც ძირითადად დაკავშირებულია სხვა გადასახადებთან (რომლის მოცულობაც მომატებულია 339.1 მლნ ლარით და 8.9 მლნ ლარს შეადგენს<sup>4</sup>). წინა თვესთან შედარებით, ასევე გაზრდილია, შემოსავალი ყველა დანარჩენი სახის გადასახადიდან (გარდა მოგების გადასახადისა, რომლის სახით მიღებულია 17.9 მლნ ლარით ნაკლები): საშემოსავლო გადასახადი - 28.4 მლნ ლარით, დღგ - 7.2 მლნ ლარით, იმპორტის გადასახადი - 3.6 მლნ ლარით, ხოლო აქციზი - 33.1 მლნ ლარით (ძირითადად, იმპორტირებული თამბაქოსა და ბენზინის დაბეგვრიდან შემოსავლის 18.7%-იანი ზრდის გავლენით).

ხარჯები სახეების მიხედვით



დიაგრამა 7: გაწეული ხარჯები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, **ხარჯებს**, იგი ივლისში გაწეული მთლიანი გადასახდელების 84.1%-ს შეადგენს. კერძოდ, ხარჯებმა ივლისში შეადგინა 1,779.3 მლნ ლარი, წინა თვის მაჩვენებელზე (1,319.4 მლნ ლარი) 459.9 მლნ ლარით (34.9%-ით) მეტი, რაც დაკავშირებულია ძირითადად პროცენტის (214.3 მლნ ლარით), აგრეთვე, სხვა ხარჯებისა (120.6 მლნ ლარით) და სოციალური უზრუნველყოფის (155.3 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების მატებასთან. გაზრდილია აგრეთვე, გრანტებისა (14.4 მლნ ლარით) და შრომის ანაზღაურების (2.0 მლნ ლარით) ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიებისა და საქონლისა და მომსახურების მუხლებით ხარჯები შემცირებულია, შესაბამისად, 11.0 მლნ ლარით და 35.7 მლნ ლარით.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2023 წლის ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა -184.1 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - (-394.8) მლნ ლარი.


გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ივლისში მიღებული შემოსულობებისა (2,082.4 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (2,115.1 მლნ ლარი) გათვალისწინებით, ივლისის თვეში **ნაშთის გამოყენებამ** შეადგინა -32.7 მლნ ლარი.

<sup>4</sup> 2016 წელს სახაზინო კოდეხის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2023 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელმა 12,797.9 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 83.5%-ის ოდენობით, მოდის შემოსავლებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 2021-2022 წლებთან შედარებით გაზრდილია, ძირითადად საგადასახადო შემოსავლების მატების გავლენით. რაც შეეხება მის წილს შემოსულობებში, ეს მაჩვენებელი 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით მცირედით შემცირებულია, 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით კი - მნიშვნელოვნად გაზრდილი (2022 წელს შემოსავლების წილი შემოსულობებში შეადგენდა 83.6%-ს, ხოლო 2021 წელს - 66.1%-ს). ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები 2022 წელთან შედარებით გაზრდილია, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე წილობრივად მთლიან შემოსულობებში, 2021 წელთან შედარებით კი - მკვეთრად შემცირებული (2023 წლის 7 თვეში ვალდებულებების ზრდის წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობების 14.4%-ს შეადგენს, 2022 წელს 14.2%-ს და 2021 წელს 32.2%-ს შეადგენდა). მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (წინა წლების მსგავსად), მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით მიღებული შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 2.1%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი 2022 წელს 2.2%-ს, ხოლო 2021 წელს 1.7%-ს შეადგენდა.

2021-2023 წწ. 7 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით




დიაგრამა 8: 2021-2023 წწ. 7 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

**შემოსავლების** სახით იანვარ-ივლისში მიღებულია 10,686.4 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 81.9% და წლიური გეგმის 60.6%, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 1,776.5 მლნ ლარით (19.9%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, 9 თვის გეგმის მიმართ, კარგი შესრულების დონით ხასიათდება გადასახადები, ხოლო გრანტებისა და სხვა შემოსავლების მაჩვენებლები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა.

7 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 9,510.8 მლნ ლარს, 9 თვის გეგმის 79.1%-ს და წლიური გეგმის 58.4%-ს შეადგენს. 9 თვის გეგმის მიმართ ყველა გადასახადი, გარდა სხვა გადასახადისა (რომლის სახით 9 თვეში დაგეგმილია 155.0 მლნ ლარი, 7 თვის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა კი -102.1 მლნ ლარი შეადგინა), მობილიზაციის კარგი დონით ხასიათდება და 77.7%-97.3%-ის ფარგლებში მერყეობს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 1,608.8 მლნ ლარით (20.4%-ით) არის გაზრდილი. აღნიშნული მატება განპირობებულია ძირითადად საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების ზრდით (შესაბამისად, 22.9%-ით და 17.1%-ით).

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 484.4 მლნ ლარით (21.0%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-ივლისში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 3,791.6 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 552.8 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან შემოსულია 471.5 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 81.3 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 24.2%-ით (232.7 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 220.7 მლნ ლარით ზრდის გავლენით (მათ შორის, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან აქციზის სახით მიღებულია 134.8 მლნ ლარით (38.1%-ით) მეტი შემოსავალი).



დიაგრამა 9: 2022-2023 წ. 7 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

**გრანტების** ფაქტობრივი მაჩვენებელი (190.0 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა და 9 თვის გეგმის 121.5%-ს და წლიური გეგმის 68.0%-ს შეადგენს, რაც ძირითადად დაკავშირებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 7 თვეში მიღებულია 48.9 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე), აგრეთვე, ბიუჯეტის მხარდამჭერ გრანტებთან (9 თვის გეგმის 104.6%). გარდა ამისა, ბიუჯეტში მიღებულია ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავალი 61.3 მლნ ლარის ოდენობით (9 თვის გეგმის 87.5%) და საინვესტიციო გრანტები 19.7 მლნ ლარის ოდენობით (9 თვის გეგმის 68.2%).

**სხვა შემოსავლების** სახით 7 თვეში ბიუჯეტში მობილიზებულია 985.7 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 112.8% (წლიური გეგმის 93.9%), რაც დაკავშირებულია საკუთრებიდან შემოსავლების 21.6%-იანი გადაჭარბებით მიღებასთან (აღნიშნულზე გავლენა მოახდინა დივიდენდის სახით, კერძოდ, ეროვნული ბანკის მოგებიდან ბიუჯეტში 112.8 მლნ ლარის გადაჭარბებით, 462.8 მლნ ლარის ოდენობით თანხის ჩარიცხვამ). გარდა ამისა, ასევე, მნიშვნელოვანი შემოსავლებია მიღებული (162.0 მლნ ლარის ოდენობით) არაკლასიფიცირებული ტრანსფერების სახით (9 თვის გეგმის 105.2%).

**არაფინანსური აქტივების კლების** მუხლით შემოსულობები (70.8 მლნ ლარი) შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება და 9 თვის გეგმის 58.1%-ს (წლიური გეგმის 35.4%) შეადგენს, რაც დაკავშირებულია ივლისის თვეში არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან უმნიშვნელო თანხების (0.6 ათასი ლარი) მიღებასთან.

**ფინანსური აქტივების კლების** მუხლით მიღებულია 197.7 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 95.3% (წლიური გეგმის 43.9%), რაც ძირითადად მოდის გაცემული სესხების დაბრუნებიდან მიღებულ სახსრებზე. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით იგი გაზრდილია 94.6 მლნ ლარით (91.8%-ით).

**ვალდებულებების ზრდის** მუხლით შემოსულობებმა 7 თვეში 1,842.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 9 თვის გეგმის 93.1%-ია. საგარეო დაფინანსების წყაროდან თანხები ძირითადად შემოსულია საინვესტიციო კრედიტების სახით, 783.0 მლნ ლარის ოდენობით (9 თვის გეგმის 74.3%), ხოლო საბიუჯეტო კრედიტების სახით მიღებულია 210.9 მლნ ლარი (თუმცა 9 თვის გეგმით მისი მიღება გათვალისწინებული არ არის), მ.შ. ივლისის თვეში ჩაირიცხა 208.9 მლნ ლარი.

	7 თვის შესრულება	შესრულება 9 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>1,842.9</b>	<b>93.1%</b>	<b>50.6%</b>
<b>საგარეო</b>	<b>993.9</b>	<b>94.3%</b>	<b>44.3%</b>
საბიუჯეტო კრედიტები	210.9		52.7%
საინვესტიციო კრედიტები	783.0	74.3%	42.5%
<b>საშინაო</b>	<b>849.1</b>	<b>91.8%</b>	<b>60.6%</b>

ცხრილი 2 : 2023 წლის 7 თვეში ვალდებულებების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობა (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 849.1 მლნ ლარი შეადგინა (9 თვის გეგმის 91.8%).


# სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2023 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 12,074.9 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 79.7%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021 წელთან შედარებით და მცირედით შემცირებულია 2022 წელთან შედარებით. კერძოდ, 2021 წლის 7 თვეში, ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 67.5%-ს, ხოლო 2022 წლის 7 თვეში - 79.9%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური

აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2023 წლის იანვარ-ივლისში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 13.9% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 1.2% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 5.2%. 2022 წლის იანვარ-ივლისში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 13.3%-ის, 0.9%-ის და 5.9%-ის ოდენობებით, ხოლო, 2021 წლის იანვარ-ივლისში - 10.6%-ის, 1.8%-ის და 20.1%-ის ოდენობებით.


**ხარჯების** შესრულებამ იანვარ-ივლისში შეადგინა 9,628.2 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 79.3% და წლიური გეგმის 58.9%, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 1,264.2 მლნ ლარით (15.1%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან (გარდა სხვა ხარჯებისა, რომელიც შემცირებულია 74.2 მლნ ლარით). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის სოციალური უზრუნველყოფის (419.0 მლნ ლარი) და პროცენტის (287.5 მლნ ლარი) მუხლებზე. 9 თვის გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტის (84.3%), სხვა ხარჯების (83.9%), სოციალური უზრუნველყოფის (82.1%), და გრანტების (78.4%) მუხლები. 9 თვის გეგმასთან მიმართებაში შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება საქონელი და მომსახურების (74.5%), შრომის ანაზღაურების (72.6%) და სუბსიდიების (71.0%) მუხლები.

2021-2023 წწ. 7 თვის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 10: გადასახდელების კომპონენტების შესრულებები 2021-2023 წლების იანვარ-ივლისში (მლნ ლარი)

პროცენტის მუხლის შესრულებიდან (778.1 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 510.9 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 267.1 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (3,937.3 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (2,842.9 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (782.7 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (229.5 მლნ ლარი).



დიაგრამა 11: 2022-2023 წწ. 7 თვის ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

**არაფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულება (1,676.5 მლნ ლარი) 9 თვის გეგმის 65.5%-ს და წლიური გეგმის 43.2%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (864.7 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (244.7 მლნ ლარი), იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობაზე (91.4 მლნ ლარი), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (79.6 მლნ ლარი), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (71.7 მლნ ლარი) და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (50.2 მლნ ლარი).

**ფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (144.5 მლნ ლარი), 9 თვის გეგმის 74.3%-ს და წლიური გეგმის 32.5%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები მოდის:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამებზე:
  - ✓ „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 14) - 47.2 მლნ ლარის ოდენობით;
  - ✓ “საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება” (პროგრამული კოდი 24 08) – 1.1 მლნ ლარის ოდენობით;
  - ✓ „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ (პროგრამული კოდი 24 19) - 3.4 მლნ ლარის ოდენობით.
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე:
  - ✓ „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 25 04) - 83.3 მლნ ლარის ოდენობით;
  - ✓ „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი 25 05) - 8.1 მლნ ლარის ოდენობით.
- დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 1.4 მლნ ლარის ოდენობით.

**ვალდებულებების კლების** მუხლის შესრულება (625.7 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით ხასიათდება და 9 თვის გეგმის 68.4%-ს შეადგენს, ხოლო, წლიურ გეგმასთან მიმართებით - 51.4%-ს. აღნიშნული მაჩვენებლის დიდი წილი, 601.1 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	7 თვის შესრულება	შესრულება 9 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>625.7</b>	<b>68.4%</b>	<b>51.4%</b>
საგარეო	601.1	68.3%	51.1%
საშინაო	24.6	70.6%	57.4%

ცხრილი 3: ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება 2023 წლის 7 თვეში (მლნ ლარი, %)


აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, გადასახდელების იანვარ-ივლისის შესრულება მოიცავს **დამატებით 6 პროგრამულ კოდს**, რომლის ფარგლებშიც მოხდა ასიგნებების ათვისება, ესენია:

- „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 24 14 03) – 1.3 მლნ ლარის ოდენობით;
- „ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში (აჭარის სატყეო სააგენტოს კომპონენტი) (KfW)“ (პროგრამული კოდი - 55 13 13) – 0.9 მლნ ლარის ოდენობით;
- „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ (პროგრამული კოდი - 26 10) – 0.6 მლნ ლარის ოდენობით;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 56 00) – 0.5 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 63 00) – 0.5 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი“ (პროგრამული კოდი - 58 00) – 0.1 მლნ ლარის ოდენობით;

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულებას, იანვარ-ივლისში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 1,396.1 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 76.3% და წლიური გეგმის 57.9%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 498.4 მლნ ლარი, საიდანაც 193.1 მლნ ლარი წარმოადგენს კაპიტალურ ტრანსფერს, 293.4 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 12.0 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარ-ივლისში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 229.5 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 198.9 მლნ ლარის, 25.9 მლნ ლარის და 6.1 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის<sup>5</sup> მიხედვით შეადგინა 11,304.7 მლნ ლარი (9 თვის გეგმის 76.9% და წლიური გეგმის 55.9%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:

2023 წლის 7 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია



დიაგრამა 12: 2023 წლის 7 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი).

## გამოყენებული მონაცემების წყარო:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია საქართველოს 2014-2023 წლების იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია 2022-2023 წლების იანვარ-ივლისში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

<sup>5</sup> საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

# დანართები

## დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 7 თვის შესრულება	2022 წლის 7 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 9 თვის გეგმა*	2023 წლის 7 თვის შესრულება	2023 წლის 7 თვის შესრულება / 2023 წლის 9 თვის გეგმა		2023 წლის 7 თვის შესრულება / 2022 წლის 7 თვის შესრულება		2023 წლის 7 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
<b>შემოსულობები</b>	<b>10,273.6</b>	<b>10,654.2</b>	<b>21,914.2</b>	<b>15,364.6</b>	<b>12,797.9</b>	<b>-2,566.7</b>	<b>83.3%</b>	<b>2,143.7</b>	<b>20.1%</b>	<b>58.4%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>6,791.3</b>	<b>8,910.0</b>	<b>17,619.9</b>	<b>13,056.1</b>	<b>10,686.4</b>	<b>-2,369.7</b>	<b>81.9%</b>	<b>1,776.5</b>	<b>19.9%</b>	<b>60.6%</b>
გადასახადები	6,018.3	7,901.9	16,290.4	12,025.6	9,510.8	-2,514.8	79.1%	1,608.8	20.4%	58.4%
საშემოსავლო გადასახადი	1,877.1	2,644.7	5,140.0	3,865.6	3,250.4	-615.2	84.1%	605.7	22.9%	63.2%
მოგების გადასახადი	646.5	1,295.9	2,000.0	1,580.0	1,289.5	-290.5	81.6%	-6.4	-0.5%	64.5%
დღგ	2,581.4	3,238.9	6,670.4	4,883.0	3,791.6	-1,091.3	77.7%	552.8	17.1%	56.8%
აქციზი	902.1	960.1	2,100.0	1,451.0	1,192.8	-258.2	82.2%	232.7	24.2%	56.8%
იმპორტის გადასახადი	46.7	63.7	130.0	91.0	88.5	-2.5	97.3%	24.9	39.1%	68.1%
სხვა გადასახადები	-35.5	-301.3	250.0	155.0	-102.1	-257.1	-65.9%	199.2	-66.1%	-40.8%
გრანტები	256.8	235.6	279.6	156.3	190.0	33.6	121.5%	-45.6	-19.4%	68.0%
სხვა შემოსავლები	516.3	772.5	1,050.0	874.2	985.7	111.5	112.8%	213.2	27.6%	93.9%
არაფინანსური აქტივების კლება	<b>95.7</b>	<b>131.7</b>	<b>200.0</b>	<b>122.0</b>	<b>70.8</b>	<b>-51.2</b>	<b>58.1%</b>	<b>-60.9</b>	<b>-46.2%</b>	<b>35.4%</b>
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ბამოკლებით)	<b>78.2</b>	<b>103.1</b>	<b>450.0</b>	<b>207.5</b>	<b>197.7</b>	<b>-9.8</b>	<b>95.3%</b>	<b>94.6</b>	<b>91.8%</b>	<b>43.9%</b>
ვალდებულებების ზრდა	<b>3,308.3</b>	<b>1,509.4</b>	<b>3,644.3</b>	<b>1,979.0</b>	<b>1,842.9</b>	<b>-136.1</b>	<b>93.1%</b>	<b>333.5</b>	<b>22.1%</b>	<b>50.6%</b>
საგარეო	3,996.7	870.9	2,244.3	1,054.0	993.9	-60.1	94.3%	123.0	14.1%	44.3%
საშინაო	-688.3	638.5	1,400.0	925.0	849.1	-75.9	91.8%	210.5	33.0%	60.6%
<b>გადასახდელები</b>	<b>11,580.3</b>	<b>10,465.6</b>	<b>21,880.1</b>	<b>15,806.5</b>	<b>12,074.9</b>	<b>-3,731.6</b>	<b>76.4%</b>	<b>1,609.3</b>	<b>15.4%</b>	<b>55.2%</b>
<b>ხარჯები</b>	<b>7,813.9</b>	<b>8,363.9</b>	<b>16,335.2</b>	<b>12,137.1</b>	<b>9,628.2</b>	<b>-2,508.9</b>	<b>79.3%</b>	<b>1,264.2</b>	<b>15.1%</b>	<b>58.9%</b>
შრომის ანაზღაურება	936.7	1,014.8	2,236.7	1,666.2	1,209.3	-456.9	72.6%	194.5	19.2%	54.1%
საქონელი და მომსახურება	917.0	1,030.7	2,025.5	1,561.3	1,162.8	-398.5	74.5%	132.1	12.8%	57.4%
პროცენტი	516.6	490.6	1,201.0	923.2	778.1	-145.1	84.3%	287.5	58.6%	64.8%
სუბსიდიები	395.3	381.2	927.6	679.0	482.4	-196.6	71.0%	101.2	26.5%	52.0%
გრანტები	380.0	486.2	1,275.8	880.2	690.5	-189.7	78.4%	204.3	42.0%	54.1%
სოციალური უზრუნველყოფა	3,436.0	3,518.3	6,447.9	4,797.8	3,937.3	-860.5	82.1%	419.0	11.9%	61.1%
სხვა ხარჯები	1,232.3	1,442.0	2,220.7	1,629.4	1,367.8	-261.6	83.9%	-74.2	-5.1%	61.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	<b>1,223.8</b>	<b>1,394.5</b>	<b>3,881.3</b>	<b>2,559.6</b>	<b>1,676.5</b>	<b>-883.1</b>	<b>65.5%</b>	<b>282.0</b>	<b>20.2%</b>	<b>43.2%</b>
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის ბამოკლებით)	<b>209.3</b>	<b>92.9</b>	<b>445.1</b>	<b>194.5</b>	<b>144.5</b>	<b>-50.0</b>	<b>74.3%</b>	<b>51.6</b>	<b>55.5%</b>	<b>32.5%</b>
ვალდებულებების კლება	<b>2,333.3</b>	<b>614.2</b>	<b>1,218.5</b>	<b>915.3</b>	<b>625.7</b>	<b>-289.6</b>	<b>68.4%</b>	<b>11.6</b>	<b>1.9%</b>	<b>51.4%</b>
საგარეო	2,289.6	589.3	1,175.6	880.4	601.1	-279.3	68.3%	11.8	2.0%	51.1%
საშინაო	43.7	24.9	42.9	34.9	24.6	-10.3	70.6%	-0.2	-0.9%	57.4%
<b>ნაშთის ცვლილება (+ დაბროვება / - ბამოყენება)</b>	<b>-1,306.7</b>	<b>188.7</b>	<b>34.1</b>	<b>-441.9</b>	<b>723.0</b>	<b>1,164.9</b>		<b>534.3</b>		

\* 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 ივნისის ბრძანება №220)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 7 თვის შესრულება	2022 წლის 7 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 9 თვის გეგმა	2023 წლის 7 თვის შესრულება	2023 წლის 7 თვის შესრულება / 2023 წლის 9 თვის გეგმა		2023 წლის 7 თვის შესრულება / 2022 წლის 7 თვის შესრულება		2023 წლის 7 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
<b>შემოსავლები</b>	<b>6,791.3</b>	<b>8,910.0</b>	<b>17,619.9</b>	<b>13,056.1</b>	<b>10,686.4</b>	<b>-2,369.7</b>	<b>81.9%</b>	<b>1,776.5</b>	<b>19.9%</b>	<b>60.6%</b>
გადასახადები	6,018.3	7,901.9	16,290.4	12,025.6	9,510.8	-2,514.8	79.1%	1,608.8	20.4%	58.4%
გრანტები	256.8	235.6	279.6	156.3	190.0	33.6	121.5%	-45.6	-19.4%	68.0%
სხვა შემოსავლები	516.3	772.5	1,050.0	874.2	985.7	111.5	112.8%	213.2	27.6%	93.9%
<b>ხარჯები</b>	<b>7,813.9</b>	<b>8,363.9</b>	<b>16,335.2</b>	<b>12,137.1</b>	<b>9,628.2</b>	<b>-2,508.9</b>	<b>79.3%</b>	<b>1,264.2</b>	<b>15.1%</b>	<b>58.9%</b>
შრომის ანაზღაურება	936.7	1,014.8	2,236.7	1,666.2	1,209.3	-456.9	72.6%	194.5	19.2%	54.1%
საქონელი და მომსახურება	917.0	1,030.7	2,025.5	1,561.3	1,162.8	-398.5	74.5%	132.1	12.8%	57.4%
პროცენტი	516.6	490.6	1,201.0	923.2	778.1	-145.1	84.3%	287.5	58.6%	64.8%
სუბსიდიები	395.3	381.2	927.6	679.0	482.4	-196.6	71.0%	101.2	26.5%	52.0%
გრანტები	380.0	486.2	1,275.8	880.2	690.5	-189.7	78.4%	204.3	42.0%	54.1%
სოციალური უზრუნველყოფა	3,436.0	3,518.3	6,447.9	4,797.8	3,937.3	-860.5	82.1%	419.0	11.9%	61.1%
სხვა ხარჯები	1,232.3	1,442.0	2,220.7	1,629.4	1,367.8	-261.6	83.9%	-74.2	-5.1%	61.6%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>-1,022.6</b>	<b>546.0</b>	<b>1,284.7</b>	<b>919.0</b>	<b>1,058.3</b>	<b>139.3</b>	<b>115.2%</b>	<b>512.2</b>	<b>93.8%</b>	<b>82.4%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>1,128.1</b>	<b>1,262.8</b>	<b>3,681.3</b>	<b>2,437.6</b>	<b>1,605.7</b>	<b>-831.9</b>	<b>65.9%</b>	<b>342.9</b>	<b>27.2%</b>	<b>43.6%</b>
ზრდა	1,223.8	1,394.5	3,881.3	2,559.6	1,676.5	-883.1	65.5%	282.0	20.2%	43.2%
კლება	95.7	131.7	200.0	122.0	70.8	-51.2	58.1%	-60.9	-46.2%	35.4%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-2,150.7</b>	<b>-716.7</b>	<b>-2,396.6</b>	<b>-1,518.6</b>	<b>-547.4</b>	<b>971.2</b>	<b>36.0%</b>	<b>169.4</b>	<b>-23.6%</b>	<b>22.8%</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-1,175.6</b>	<b>178.5</b>	<b>29.2</b>	<b>-454.9</b>	<b>669.8</b>	<b>1,124.7</b>	<b>-147.3%</b>	<b>491.3</b>	<b>275.2%</b>	<b>2293.6%</b>
ზრდა	209.3	281.6	479.2	194.5	867.5	673.0	446.1%	585.9	208.1%	181.0%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	188.7	34.1	0.0	723.0	723.0		534.3	283.2%	2120.1%
სესხები	209.3	92.9	445.1	194.5	143.4	-51.1	73.7%	50.4	54.3%	32.2%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	1.1	1.1		1.1		
<b>კლება</b>	<b>1,384.9</b>	<b>103.1</b>	<b>450.0</b>	<b>649.4</b>	<b>197.7</b>	<b>-451.7</b>	<b>30.4%</b>	<b>94.6</b>	<b>91.8%</b>	<b>43.9%</b>
ვალუტა და დეპოზიტები	1,306.7	0.0	0.0	441.9	0.0	-441.9	0.0%	0.0		
სესხები	78.0	102.3	450.0	207.5	196.2	-11.3	94.5%	93.9	91.9%	43.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.2	0.9	0.0	0.0	1.5	1.5		0.7	78.7%	
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>975.1</b>	<b>895.3</b>	<b>2,425.8</b>	<b>1,063.7</b>	<b>1,217.2</b>	<b>153.5</b>	<b>114.4%</b>	<b>321.9</b>	<b>36.0%</b>	<b>50.2%</b>
ზრდა	3,308.3	1,509.4	3,644.3	1,979.0	1,842.9	-136.1	93.1%	333.5	22.1%	50.6%
საშინაო	-688.3	638.5	1,400.0	925.0	849.1	-75.9	91.8%	210.5	33.0%	60.6%
საგარეო	3,996.7	870.9	2,244.3	1,054.0	993.9	-60.1	94.3%	123.0	14.1%	44.3%
<b>კლება</b>	<b>2,333.3</b>	<b>614.2</b>	<b>1,218.5</b>	<b>915.3</b>	<b>625.7</b>	<b>-289.6</b>	<b>68.4%</b>	<b>11.6</b>	<b>1.9%</b>	<b>51.4%</b>
საშინაო	43.7	24.9	42.9	34.9	24.6	-10.3	70.6%	-0.2	-0.9%	57.4%
საგარეო	2,289.6	589.3	1,175.6	880.4	601.1	-279.3	68.3%	11.8	2.0%	51.1%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>		<b>0.0</b>		

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 9 თვის გეგმა	2023 წლის 7 თვის შესრულება	2023 წლის 7 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 7 თვის შესრულება 9 თვის გეგმასთან მიმართებაში %
00 00	სულ ჯამი	21,880.1	15,806.5	12,074.9	55.2%	76.4%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	77.5	58.7	42.8	55.3%	72.9%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	63.7	48.4	36.0	56.5%	74.4%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამბებლო საქმიანობა	23.5	17.6	11.2	47.7%	63.6%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	7.9	5.9	4.4	55.6%	74.1%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	32.4	24.9	20.5	63.1%	82.1%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	32.4	24.9	20.4	63.2%	82.1%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.04	0.02	31.2%	41.8%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	12.0	9.0	5.9	49.0%	65.3%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.6	0.4	0.3	45.3%	60.0%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.1	0.9	0.6	56.0%	73.6%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9.3	7.2	5.3	56.6%	73.3%
03 00	საქართველოს ბიზნესობმუდსმენის აპარატი	0.8	0.6	0.4	49.1%	65.4%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	24.0	17.3	24.0	100.0%	138.4%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	21.3	17.1	11.0	51.7%	64.5%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	56.0	47.8	40.4	72.2%	84.5%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	21.6	16.8	11.0	50.9%	65.5%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.6	1.5	1.2	75.2%	83.0%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	9.6	7.4	58.3%	77.8%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	20.0	20.0	20.7	103.7%	103.7%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	5.8	4.5	2.9	50.3%	65.5%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	16.1	12.2	8.6	53.3%	70.4%
09 00	საერთო სასამართლოები	117.0	82.7	53.6	45.8%	64.8%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	114.5	80.8	52.7	46.0%	65.2%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	2.5	1.9	0.9	35.9%	47.9%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	7.9	5.9	2.9	36.7%	49.2%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.3	1.0	0.7	52.0%	68.3%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	0.5	49.4%	64.8%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.3	1.0	0.7	55.9%	72.2%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	0.6	54.6%	70.9%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	0.5	47.9%	61.0%

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 9 თვის გეგმა	2023 წლის 7 თვის შესრულება	2023 წლის 7 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 7 თვის შესრულება 9 თვის გეგმასთან მიმართებაში %
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, თნისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	0.5	50.3%	64.3%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.8	0.5	54.1%	71.0%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.3	1.1	0.8	57.1%	70.3%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.8	0.5	51.5%	67.2%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	180.0	139.8	99.5	55.3%	71.2%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	147.7	111.8	77.6	52.6%	69.4%
